პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 1 ივნისი 1943 წ. № 118 (6743) ფასი 20 კაპ.

მ. ი. კალინინი

საბჭოების მუშაობა ომის პირობებში

ომმა სასტიკი გამოცდა არგუნა არა მარტო ცალკეულ ადამიანებს, არამედ მთელ სახელმწიფო ორგანიზმს მთლიანად—მის დაწესებულებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და განსაკუთრებით საბჭოებს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, რომელთა ამოცანები უნივერსალურია.

საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებსა და მათს ხელმძღვანელებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის წარმატებითი მუშაობისათვის, სამხედრო-სამობილიზაციო ღონისძიებათა ჩატარებისათვის, მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფისათვის, დაჭილი მებრძოლებისათვის ყველაზე უფრო მოხერხებულ და კარგად მომსახურებულ შენობებში ჰოსპიტლების მოთავსებისათვის, ფრონტელთა ოჯახების, სამამულო ომის ინვალიდების საჭიროებათადმი მაქსიმალური ყურადღებისათვის, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისათვის, ერთი სიტყვით, ყველაფერს ვერ ჩამოსთვლი. თუ ამასთან გავითვალისწინებთ ჩვენი ოლქების ტერიტორიულ სივრცეს, რაიონული ცენტრების დაშორებას საოლქო ცენტრებიდან, კავშირგაბმულობის სიძნელეებს, სამამური ვითარების პირობებს,—ყოველივე ეს უეჭველად ართულებს საბჭოების მუშაობას, მთელ რიგ დამატებითს სიძნელეებს უქმნის მათ.

საბჭოების მუშაობა თავისი მოცულობითა და მრავალმხრივობით დიდი და პასუხსაგებია. რა თქმა უნდა, ცენტრიდან არა მარტო შეუძლებელია უშუალოდ უხელმძღვანელო ყოველ ცალკეულ საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას ადგილობრივ, არამედ აგრეთვე ხშირად ძნელია თვალყური ადევნო ადგილობრივი მეურნეობის, კულტურისა და ყოფაცხოვრების ყველა მრავალნაირ დარგებს. ამიტომ კადრების შერჩევა, მათი აღზრდა და საუკეთესო შეფარდება სათანადო მუშაობასთან როგორც ოლქის სამეურნეო და კულტურული საქმიანობის ამა თუ იმ დარგში, ისე რაიონების საერთო-პოლიტიკურ და ადმინისტრატიულ მუშაობაშიც ოლქის ხელმძღვანელთაგან შეუსუსტებელ ყურადღებას მოითხოვს.

რაიონი უმნიშვნელოვანეს რგოლს წარმოადგენს ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში, სადაც, ამხანაგ სტალინის სიტყვით, თავს იყრიან საკოლმეურნეო მშენებლობისა და ყველა სხვა სამეურნეო მუშაობის ძაფები. ომმა კიდევ უფრო აამაღლა რაიონული ორგანიზაციების მნიშვნელობა, ეინაიდან ისინი უშუალოდ აგებენ პასუხს სოფლის მეურნეობის მდგომარეობისათვის, რომელიც ფრონტსა და ზურგს სურსათით ამარაგებს, ადგილობრივი მრეწველობის მუშაობისათვის, რომელიც ახლა თავდაცვითი პროდუქციის მიმწოდებელია.

პარტიის რაიკომის მდივანი და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ძირითადი ფიგურები არიან რაიონში. და შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ, თუ ისინი შეეფერებიან თავიანთ დანიშნულებასა და დამპალმაყოფილებლად ართმევენ თავს საქმეს, მაშინ ოლქის მერ ასეთი რაიონის ხელმძღვანელობა მნიშვნელოვნად ადვილდება და მუშაობის წარმატებაც რაიონში უზრუნველყოფილია. ესევე პრინციპი მოქმედებს საბჭოების დარგობრივ განყოფილებათა მუშაობაშიც.

ამხანაგმა სტალინმა თავის დროზე წამოაყენა ლოზუნგი—კადრები სწყვეტენ ყველაფერსო—და განმარტა, რომ ეს ლოზუნგი „მოითხოვს, რომ ჩვენი ხელმძღვანელნი უაღრესი მზრუნველობით ეკიდებოდნენ ჩვენს მუშაკებს, „პატარებსა“ და „დიდებს“, რა დარგშიც არ უნდა მუშაობდნენ ისინი, მზრუნველობით ზრდიდნენ მათ, ეხმარებოდნენ, როდესაც დახმარება ესაჭიროებათ, წაახალისებდნენ, როდესაც პირველ წარმატებებს გამოიჩენენ, აწინაურებდნენ მათ და სხვ.“.

ყველაზე ძნელი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ კაცს მოუძებნო ადგილი, რომ იგი მას შეეფერებოდეს. ტყუილად როდია ნათქვამი—კაცი დასვი თავის ადგილზე და მუშაობა გაჩაღდებაო. სწორედ ამაში მდგომარეობს ადმინისტრატიული მმართველობის ხელოვნების საიდუმლოება.

საბჭოების მუშაობის მრავალმხრივობა კი არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, მათს ხელმძღვანელებს აიძულებს მუდამ იქონიონ მხედველობაში მეურნეობის განსაკუთრებული დარგები, რომელთაც ოლქში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. ამიტომ შემთხვევითი რადია, რომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა საოლქო კომიტეტებს განსაკუთრებული მდივნები იყოლიონ მუშაობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის.

ოლქების უმეტესობაში არის მეურნეობის 5-7 წამყვანი დარგი, რომელთა კარგი მუშაობაც განსაზღვრავს ოლქის წარმატებას მთლიანად. და სწორედ მათზეა მნიშვნელოვან წილად მიპყრობილი ოლქის ხელმძღვანელობის მთელი ყურადღება, რაც, რასაკვირველია, სრულიად რაციონალურია. მაგალითად, მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობაში მეტ ყურადღებას და მზრუნველობას უთმობენ ბოსტნეულს, უზბეკეთში—ბამბას, კალინინის ოლქში—სელს, ხოლო აღმოსავლეთ ოლქებში—მარცვლეულს. ამავე პრინციპს იყენებენ პრაქტიკულად მრეწველობაშიც. თუ ოლქში, მაგალითად, არის ბევრი საფეიქრო ფაბრიკა ან ტეტალურიული ქარხანა, მაშინ, ცხადია, რომ წარმოების სწორედ ამ სახეებს ექცევა მეტი ყურადღება.

ომმა ბევრი რამ შესცვალა, წამოძრაყენა მთელი რიგი ახალი ამოცანები, რომლებიც წინათ ამა თუ იმ ოლქის წინაშე არ მდგარა. მთელ რიგ ოლქებში ომის განმავლობაში აღძრულნი გავხდით გაგვევითარებინა და აგვეთვისებინა ეკონომიკის ახალი დარგები. იქ, სადაც წინათ სოფლის მეურნეობა სჭარბობდა, უმეტესი მნიშვნელობა მოიპოვა მრეწველობამ, ხოლო იქ, სადაც წინათ მთავარ ყურადღებას მრეწველობის საკითხებს აქცევდნენ, გაძლიერებით შეუდგნენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარებასაც. ეს ახალი ამოცანები მთელი თავისი ოდენობით დადგა საბჭოთა მუშაკების კადრების წინაშე.

ომმა გაართულა მუშაობა კადრების შერჩევის საქმეში, ვინაიდან ბევრი გამოცდილი მუშაკი გაწვეულ იქნა არმიის რიგებში. კადრების გამგე ადამიანების წინაშე აუცილებლად დადგა საჭიროება დაუყოვნებლივ მოემზადებინათ ახალი ხელმძღვანელი მუშაკები ამ პირობებიდან, რომელთაც მობილიზაცია არ ეხებათ. ხელმძღვანელ მუშაობაში იმ ახალი ადამიანების ჩაბმა, რომელთაც ჯერ კიდევ საჭირო გამოცდილება არა აქვთ, ადვილი ამოცანა როდია, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ მინდობილი საქმის წარმატებისათვის გაზრდილ პასუხისმგებლობას. ახლა არ შეიძლება მოვითმინოთ არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. ამიტომ კადრების შერჩევისას მეტად გამჭრიახი თვალი უნდა გვქონდეს, რომ განვსაზღვროთ კაცის გამოსადეგობა ამა თუ იმ მუშაობისათვის, მისი ზრდის უნარი. მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ყოველივე საჭირო გაეკეთოთ ახალი კადრების ზრდის პირობების შესაქმნელად, რათა ახალი მუშაკები შეეფერებოდნენ დღევანდელი მომენტის [illegible]ოხოვნებს.

ომმა არა მარტო გაართულა საზოგადოდ ადგილობრივი საბჭოების მუშაობა, არამედ მათს წინაშე მთელი რიგი ახალი პრობლემებიც დასახა. პირველ რიგში საჭირო იყო ოლქის ყველა საწარმო მოგვემარჯვებინა ფრონტის საჭიროებათა ინტენსიური მომახურებისათვის, მოგვეწყო და აგვეთვისებინა მთელი რიგი ახალი საწარმოები, განსაკუთრებით მტრის მიერ დაკავებული ტერიტორიებიდან ევაკუირებული საწარმოები. ამ მხრივ ჩვენმა აღმოსავლეთმა ოლქებმა, მოკავშირე და ავტონომიურმა რესპუბლიკებმა პირდაპირ სამრეწველო რევოლუცია განიცადეს. თვით ომის დაწყებადანვე იქ განუწყვეტლივ შეჰქონდათ ევაკუირებული საქართხო მოწყობილობა, მიდიოდნენ ათასობით ახალი მუშები და მათი ოჯახები. საჭირო იყო, რაც შეიძლება მალე მოგვეთავსებინა მოდენებზე მოსული მოწყობილობა და მაქსიმალურად ჩქარა აგვემუშავებინა წარმოება; საჭირო იყო აუცილებელი ყოფაცხოვრებითი პირობები შეგვექმნა ევაკუირებული მუშების, ტექნიკური პერსონალისა და მათი ოჯახებისათვის. ჭეშმარიტად გიგანტური სამუშაოა გაკეთებული და ძირითადად დამაკმაყოფილებლად არის დამთავრებული. შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ ჩვენმა პარტიულმა, საბჭოთა და ტექნიკურმა კადრებმა მთელს მსოფლიოს უჩვენეს თავიანთი დიდი ორგანიზატორული ნიჭი, გაიარეს სერთი პრაქტიკული სკოლა, როგორიც ისტორიას ჯერ კიდევ არ უნახავს.

მაგრამ საომარი ვითარება ნებას არ გვაძლევს დავკმაყოფილდეთ მიღწეულით. ჩვენი მრეწველობა მთლიანად, განსაკუთრებით სამხედრო მრეწველობა, შეიძლება ითქვას, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწევა გერმანიის მრეწველობასთან. გერმანელები აკვეხნიან თავიანთი ორგანიზებულობასა და ტექნიკურ უპირატესობას, ცდილობენ დამონებული ხალხების კატორღული შრომით გაგვაოსწორონ საჭიროებისა და საომარი მასალის წარმოებაში. ამ ბრძოლაში ჩვენ გამარჯვებულნი უნდა ვიყოთ რადაც უნდა დაგვიჯდეს. სამხედრო მასალებით ფრონტის სულ უფრო მზარდი ოდენობით მომარაგებისათვის საჭიროა, რათა ჩვენი მრეწველობა სულ უფრო და უფრო ვითარდებოდეს და უმჯობესდებოდეს. და ამ საქმეში საბჭოებმა და მათმა ხელმძღვანელებმა უნდა გააკეთონ ყოველივე შესაძლებელი და შეუძლებელიც კი, რათა მათს ტერიტორიაზე მყოფი საწარმოები გაანუწყვეტლივ წინ მიდიოდნენ თავიანთი საწარმოო ამოცანების შესრულებაში.

ომი მოითხოვს ადგილობრივ წარმოებული ყველა საკითხის მაღე გადაწყვეტას. და ჩემი სურვილია, რომ რაიონების ხელმძღვანელმა მუშაკებმა შეიგნონ, რომ არ შეიძლება თავისი მუშაობის შეზღუდვა მარტო დირექტივების შესრულებით, ჩემი სურვილია, გამოიჩინონ ინიციატივა საკითხების დასმაში და გადაწყვეტაში და თავს არ იცავდნენ, როგორც ეს ხშირად ხდება, ზემდგომი ორგანოებისაგან მითითებათა მიუღებლობის მოტივზეზებით.

მომთხოვნელობა ადგილობრივი საბჭოებისადმი მრეწველობის ხელმძღვანელობის დარგში დღითი-დღე სულ უფრო დიდდება. აქ მე მინდა ყურადღება მივაქციო საქალაქო და რაიონული საბჭოების როლს ადგილობრივი მრეწველობის მუშაობის განვითარებისა და გაუმჯობესების საქმეში. თუ საკავშირო მრეწველობის საწარმოთა მუშაობისათვის პასუხისმგებლობა სათანადო სახალხო კომისარიატს აკისრია, ადგილობრივი მრეწველობის მუშაობისათვის პასუხს აგებენ უშუალოდ საბჭოების ხელმძღვანელები.

ადგილობრივი მრეწველობა საერთო სამხედრო ეკონომიკაში მცირე როლს როდი ასრულებს. იმას გარდა, რომ ადგილობრივი მრეწველობა თავდაცვითი პროდუქციის უშუალო მომწოდებელია, იგი აგრეთვე საკავშირო მრეწველობის საწარმოებს ამარაგებს ნახევარფაბრიკატებით. ეს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს საბჭოების ხელმძღვანელ მუშაკებს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოო გეგმებისა და დავალებათა შესრულებისათვის. მაგრამ საბჭოების მუშაკებს, რასაკვირველია, მცირე პასუხისმგებლობა არ აკისრიათ საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური მრეწველობის მუშაობისთვისაც. თვით წარმოების განვითარება მოითხოვს საბინაო პრობლემის, კომფესალური მომსახურების გაუმჯობესებას, ბინების გათბობას, კვების ნორმალიზაციას, კარგად მოგვარებულ ადგილობრივ ტრანსპორტს. ეს ფაქტორები უშუალო გავლენას ახდენენ შრომის ნაყოფიერებაზე, მის შედეგიანობაზე. და უკვე მარტო ეს მოწმობს, თუ რაოდენ დიდია საბჭოების როლი მრეწველობის მუშაობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში.

ურალი, დასავლეთ ციმბირი ამჟამად ჩვენი ქვეყნის ყველაზე უფრო ინდუსტრიული რაიონებად გადაიქცნენ. მაგრამ გერმანელთაგან განთავისუფლებულ რაიონებშიც უკვე იწყება მრეწველობის აღდგენა, აგროვებენ მუშახელს, მოწყობილობას, ინვენტარს, თანდათან ძლიერდება საწარმოო ტემპები. ამ პირობებში რაიონულ და საოლქო ხელმძღვანელებს სამეურნეო-აღდგენითი სამუშაოს სულ სხვადასხვა დარგებში უხდებათ მუშაობა; აქ ძნელი სათქმელიც კია, თუ რომელი სამუშაო უფრო მნიშვნელოვანი, უფრო საჭიროა. ყველაფერს დიდი მნიშვნელობა აქვს, ყველაფერი საჭიროა და ყველაფერი საჩქაროა. და აქ, გერმანელების მიერ აოხრებულ და გაჩანაგებულ რაიონებში, საბჭოთა მუშაკების მთავარი ფიქრი ის უნდა იყოს, რომ, რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება ეფექტიანად ჩაებან ფრონტისათვის მუშაობაში, რაც შეიძლება მიზანშეწონილად გამოიყენონ ამისათვის ყველა არსებული რესურსი და გერმანელებისადმი ის სიძულვილი, რაც მოსახლეობას დაუგროვდა ოკუპაციის ხნის განმავლობაში. ის ადამიანები, რომელთაც გერმანელთა ბატონობა გამოიარეს, სამუშაოდ ისწრაფვიან. მათთვის საარსებო მოთხოვნილებად გადაიქცა სამშობლოს, მისი წესების დაცვა, მათ გამოსაცდის, რომ მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყოფნას ვერაფერი ვერ შეედრება თავისი საშინელებითა და საზიზღრობით. და ამიტომ განთავისუფლებულ რაიონებში მუშაობა მიმდინარეობს არაჩვეულებრივი დაძაბულობით, დაჟინებითა და შეუპოვრობით, მუდმივი მისწრაფებით — რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება მეტად გაეწიოს დახმარება ფრონტს.

რასაკვირველია, ადვილი საქმე არ არის გერმანელთაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენა. აქ მატერიალური ნაწილი გერმანელებმა მნიშვნელოვან წილად დაანგრიეს, მოსახლეობა შემცირდა, ხოლო დანარჩენი ნაწილი ფიზიკურად დაუძლურებულია; თითქმის მთლიანად გაწყვეტილია საქონელი. ყოველივე ეს ძნელებს, აფერხებს აღდგენითს პროცესს, რომელიც, ამის მიუხედავად, შეუჩერებლივ წინ მიდის. ამას ბევრად უწყობს ხელს სხვა რაიონების დახმარება და თვით მოსახლეობის ნებისყოფა. საბჭოთა აპარატს კი მოეთხოვება ორგანიზაციის საუკეთესო ფორმების გამოყენება, საერთო ღონისძიებათა წარმართვა ყველაზე უფრო მნიშვნელოვან, გადაუდებელ სამუშაოთა შესასრულებლად, რათა ეს რაიონები რაც შეიძლება მალე დადგნენ ფეხზე და ჩაებან ფრონტისათვის დახმარების საერთო მუშაობაში.

სოფლის მეურნეობის საკითხებს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს საბჭოების მუშაობაში. კოლმეურნეობას რომ ნამდვილი დახმარება აღმოეჩინოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში, ამისათვის სოფლის საბჭომ კარგად უნდა იცოდეს თითოეული კოლმეურნეობის მდგომარეობა და ზომებს უნდა იღებდეს იმისათვის, რომ კოლმეურნეობაში მიზანშეწონილად და რაციონალურად იქნას გამოყენებული ყველა არსებული საშუალებანი, მისი გამწევი ძალა და ადამიანთა რეზერვები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს, რომელთა ხელმძღვანელებსაც საბჭობმა უნდა მოსთხოვონ, რომ გადამწყვეტი ზომები მიიღონ როგორც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმების შესასრულებლად, ისე სახელმწიფო მიწოდებათა მხრივ ვალდებულებათა შესასრულებლად.

მთავრობამ საბჭოს მთელი რიგი აქტუალური საკითხები დაუსახა, რომლებიც უშუალოდ წარმოშვა ომმა, მაგალითად, ფრონტელთა ოჯახებისა და სამამულო ომის ინვალიდთა რაც შეიძლება კარგად მოწყობა. რაც უნდა ბევრი საქმე ჰქონდეთ ადგილობრივ მუშაკებს, ისინი მოვალენი არიან მუდმივი ყურადღება დაუთმონ ამ საქმეს და უმთავრესად კი—ფორმალურად კი არა, არსებითად განახორციელონ მთავრობის გადაწყვეტილება. მე მგონია, რომ საჭიროა ყველგან ჩავაბათ ამ მოშაობაში საზოგადოებრივი ძალები—კომკავშირი, პროფკავშირები, სოფლად — საკოლმეურნეო საზოგადოებრიობა. საბჭოთა ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა უნდა გამოვიჩინოთ ომის ინვალიდებისადმი. ფრონტელთა ოჯახებისადმი. მაგრამ, რასაკვირველია, ეს იმას არა ნიშნავს, რომ ასთი ოჯახებს შრომისუნარიანი წევრები მუშაობისგან თავისუფლდებიან.

ამასთან ერთად მინდა აღვნიშნო, რომ საჭიროა გაძლიერდეს იმ ბავშვებთან მუშაობა, რომელთაც მშობლები დაკარგეს, აგრეთვე გადუმჯობესდეს საბავშვო დაწესებულებათა მიმართ ხელმძღვანელობა. ეს მეტად დიდი და პასუხსაგები სამუშაოა, რომელზედაც უნდა გაიგზავნონ ამ საქმის მოყვარული ადამიანები, მეურნეობის გაძღოლის უნარის მქონე, ინიციატივიანი და ენერგიული მუშაკები. შეიძლება სთქვან—სად ვიპოვოთ პედაგოგიური ნიჭის და ამავე დროს კარგი მეურნის თვისებების მქონე კულტურული, ბავშვების მოყვარული ადამიანებიო? უეჭველია, ეს რთული ამოცანაა, მაგრამ თუ კარგ ხელმძღვანელს გავუფრთხილდებით და უუნაროებს შევცვლით,—კადრები თანდათან შეიქმნება, გარდა ამისა, ისინი ზნიშვნელოვან წილად უკვე გვყვანან კიდეეაც; საჭიროა მხოლოდ იმ აზრით გავიმსჭვალოთ, რომ ბავშვები ჩვენი ქვეყნის უძვირფასესი სიმდიდრეა.

საბჭოთა ორგანოების წინაშე დასახულია ომთან დაკავშირებული უდიდესი მნიშვნელობის ამოცანები, რომელთა შესრულება ბევრი მხრივ დამოკიდებულია ადგილობრივი საბჭოების მუშაობის სწორ ორგანიზაციაზე. მართლაც, ახლა ყოველი მუშაობა უდიდესი მნიშვნელობისაა, ამა თუ იმ მხრივ ეხება მოსახლეობის მასებს.

ავიოდთ უბრალო მაგალითი—ადმინისტრირება დაწესებულებებში, საწარმოებში. ადმინისტრატიულ განკარგულებებში სასურველია ამა თუ იმ განკარგულების მიზეზების ახსნა-განმარტება და, შემლებისამებრ, მისი შესრულების ხერხების, მისი განხორციელების დიდ მნიშვნელობაზე მითითება. რასაკვირველია, ეს ხელმძღვანელის მუშაობას ართულებს, მაგრამ სამაგიეროდ შემსრულებლის მუშაობას ადვილებს, მეტ რწმენას წარმოშობს, რომ გაკარგულება ზუსტად შესრულდება. საბჭოთა მუშაკებისათვის საეკეთესო მაგალითები მაგალითია ამხანაგ სტალინის ბრძანებები. აიღეთ მისი უკანასკნელი საპრეზიდიუმო ბრძანება, ჩაუკვირდით მის დედაარსსა და ფორმას; ეს დაგეხმარებათ იმაში, რომ თქვენი განკარგულებანი უფრო ქმედითი გახადოთ.

საბჭოები ხელისუფლების დემოკრატიული ორგანოებია. მათი მოქმედება განსაზღვრულია არა მარტო გარკვეულ სამუშაოთა მოცულობით და იმ ფარგლებით, რაც ადგილობრივი ხელისუფლებისათვის კანონით არის დაწესებული, არამედ, რადგან საბჭოები ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დემოკრატიულად არჩეული ორგანოებია, ამიტომ მათ ამოცანას ისიც შეადგენს, რომ საბჭოთა მუშაობაში ჩაებან მოსახლეობა, პოლიტიკურად გააერთიანონ მთელი მოსახლეობა საბჭოების პრაქტიკულ მუშაობაში. საბჭოთა დემოკრატიზმი თავისი პრინციპითვე ქმედითი ხასიათისაა, ყოველი საწარმოო კოლექტივი, მთლიანად აღებული, დაინტერესებულია მუშაობის შედეგით. და ხელმძღვანელის პირდაპირი მოვალეობა ის არის, რომ საშუალო მუშაკი,—ინჟინერი იქნება იგი, მუშა, კოლმეურნე თუ რიგითი საბჭოთა მოსამსახურე,—თავისი საწარმოო ჯგუფის საშუალებით ჩაბმულ იქნას სახელმწიფოს საერთო პოლიტიკაში, ახლანდელ მომენტში კი—აქტიურ მოქმედებაში გამარჯვების მისაღწევად.

საბჭოებმა თავიანთ ისტორიულ განვითარებაში ცხადჰყვეს შემოქმედებითი ძალა, რომელიც მსოფლიოს აოცებს, ამ ძალის სათავეები კი მასებშია. აი ამიტომ ყოველი საბჭოთა მუშაკი პოლიტიკოსიც უნდა იყოს, რომელსაც უნარი შესწევს მიუდგეს მასებს, უნარი შესწევს გაიყოლიოს მასები. რათა შეასრულოს ახლანდელი დროის ძირითადი ამოცანა—გერმანელ დამპყრობთა განადგურება.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

30 მაისის დილის ცნობა

29 მაისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე 5 ნაწილის არტილერისტებმა ღია პოზიციებზე გამოაგორეს ქვემეხები და მტრის სიმაგრეებს დაუშინეს. დამსხვრეულია გერმანელთა 3 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 2 ბლინდაჟი, მოსპობილია რამდენიმე ავტომანქანა და 50-მდე ჰიტლერელი. სნაიპერმა ამხ. ბეკჭანოვმა 10 დღის განმავლობაში დახოცა 16 გერმანელი. სნაიპერმა ამხ. სოგრინმა 3 დღის განმავლობაში 9 ჰიტლერელი მოსპო.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით არტილერიის ცეცხლით მოსპობილია 1 ოცეულამდე ჰიტლერელი, 2 ქვემეხი, 7 ავტომანქანა და რამდენიმე საზიდარი ტვირთიანად. 5 ნაწილის ნაღმტყორცნელებმა გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი, რომელიც ერთ ხევში იყრიდა თავს.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე 11 მზვერავმა ლეიტენანტ პოლიაკოვის მეთაურობით ღამით მტრის განლაგებაში შეაღწია. ჩვენმა მებრძოლებმა გასწყვიტეს 40-ზე მეტი გერმანელი, წამოიყვანეს ტყვეები და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში. იმ ქვეგანაყოფის მესაზგრეები, რომლის მეთაურიც არის ამხ. სტასიუკი, 50-ჯერ იყვნენ მტრის ზურგში და იქ 20-ზე მეტ ადგილას დანაღმეს მინდვრები.

ვოლნოვის ფრონტზე ჩვენი არტილერიის ცეცხლით დანგრეულია გერმანელთა 9 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ბლინდაჟი, აფეთქებულია საომარი მასალის საწყობი, დამტვრეულია 3 სარკინიგზო ვაგონი და ორთქლმავალი, მოსპობილია 6 ავტომანქანა და 8 საზიდარი ტვირთიანად. 5 ნაწილის მეზენიტეებმა მტრის 3 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოსპეს გერმანელთა 40-ზე მეტი ავტომანქანა და საზიდარი, დაანგრიეს 8 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 14 ბლინდაჟი. 5 შენაერთის სნაიპერებმა დღის განმავლობაში 107 ჰიტლერელი გასწყვიტეს.

ლენინგრადის მისადგომებზე ჩვენმა მფრინავებმა და საზენიტო არტილერიამ გერმანელთა 20 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

პოლესიეს ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა გაანადგურა საპოლიციო გარნიზონები ორ დასახლებულ პუნქტში. მოსპობილია 36 ჰიტლერელი, ამავე რაზმის პარტიზანებმა საკონცენტრაციო ბანაკიდან გაათავისუფლეს 180 საბჭოთა მოქალაქე, რომლებიც გერმანელებს ძალით უნდა გაეტარებინათ გერმანიის მონობაში. ბარანოვიჩის ოლქში საბჭოთა პატრიოტებმა ააფეთქეს გერმანელთა 2 ეშელონი ავტომანქანებიანად და სხვა სამხედრო ტვირთიანად. დამტვრეულია ორთქლმავალი და 26 პლატფორმა. მატარებელთა მოძრაობა აკინძულია ამ უბანზე შეწყვეტილი იყო 3 დღე-ღამის განმავლობაში.

ვოლხოვის ფრონტის ერთ უბანზე, „ზუბის“ ჭალაში, ჩვენმა ქვეგანაყოფებმა 18 მაისს მტრის პოზიციები დაიკავეს. გერმანელთა ბლინდაჟთან აღმოჩენილია 4 საბჭოთა მებრძოლის გვამი. როგორც გამოძიებამ დაადასტურა, ეს მებრძოლები ტყვედ იყვნენ წაყვანილი და მხეცურად იყვნენ ნაწამები გერმანელების მიერ. ქალაქ ირკუტსკის მცხოვრებ წითელარმიელ ვ. ე. იამპოლსკის გვამს აჩნია ბლაგვი საგნის დარტყმის მრავალი კვალი. ხელო კისერზე მარყუჟად გამოსაკვნილი თოკის ნაწყვეტი აქვს. სმოლენსკის ოლქის სოფელ ანდრეევსკოეს მცხოვრებ ეფრეიტორ პ. ნ. ელჩენკოს გვამი მთლად დაცხრილულია ხიშტით. ქალაქ ტროიცკის მცხოვრებ ეფრეიტორ ფ. მ. გლაზუნოვის გვამს ცეცხლით წამების კვალი აჩნევია. არხანგელსკის ოლქის ჩერეფოვოს რაიონის მცხოვრებ წითელარმიელ ა. პ. შადრინის გვამიც დასახიჩრებულია. საბჭოთა მეომრებმა თავიანთი ამხანაგების გვამებთან დაიფიცეს სამაგალითო მიუზღონ გერმანელ ფაშისტ ავაზაკებს მათ სისხლიან დანაშაულთათვის.

30 მაისის საღამოს ცნობა

30 მაისის განმავლობაში ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, გრძელდებოდა ბრძოლები, ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა ხომალდებმა ბარენცის ზღვაში ჩასძირეს მტრის ტანკერი.

გასული კვირის განმავლობაში, 23-დან 30 მაისამდე, საჰაერო ბრძოლებში, აეროდრომებზე, საზენიტო არტილერიისა და ჯარების ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა 456 თვითმფრინავი. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენ 118 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

29 მაისს ფრონტის სხვადასხვა უბანზე ჩვენი ავიაციის ნაწილებმა მოსპეს ან დააზიანეს გერმანელთა 40 ავტომანქანა, ჯარებიანად და ტვირთიანად, აეფეთქეს სამარი მასალის 2 საწყობი, ჩაეჩუმეს 10 საარტილერიო ბატარია, დაამსხვრიეს სარკინიგზო შემადგენლობა, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მტრის 2 ასეულამდე ქვეითი ჯარი.

***

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა გასწყვიტეს 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. 5 ნაწილის მზვერავთა რაზმი არტილერიის ცეცხლის საფარით მტრის დასაყრდენ პუნქტში შეიჭრა. ეჯრის ბრძოლაში საბჭოთა მებრძოლებმა გასწყვიტეს 100-ზე მეტი ჰიტლერელი და ხელთ იგდეს ტყვეები. მზვერავებმა წარმატებით შეასრულეს დავალება და პირვანდელ პოზიციებზე დაბრუნდნენ.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში ჩვენი ქვეგანაყოფები ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ. ერთ უბანზე საბჭოთა მებრძოლებმა ხელთ იგდეს მაღლობზე განლაგებული მტრის სანგრები და ძელმიწური საცეცხლე წერტები. ამ მაღლობისათვის ბრძოლაში გაწყვეტილია 160 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ბრძოლის ველზე აკრეფილია გერმანელების მიერ მიტოვებული ბევრი საჭურველი. მოსპობილია მტრის 5 ქვემეხი, სანალმმტყორცნო ბატარია და 26 ტყვიამფრქვევი. წამოყვანილია ტყვეები.

***

დონის როსტოვის დასავლეთით ჩვენი არტილერიის ცეცხლით დანგრეულია გერმანელთა 5 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 6 ბლინდაჟი და 2 სათვალთვალო პუნქტი, აფეთქებულია საწყობი საომარმასალიანად და ჩაჩუმებულია მტრის 20 საარტილერიო და სანალმმტყორცნო ბატარია.

* * *

სევსკის რაიონში 6 ნაწილის არტილერისტებმა ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს მტრის ალაზე და მოსპეს 42 საზიდარი სხვადასხვა ტვირთიანად.

ჩვენი საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 4 თვითმფრინავი.

* * *

იმ რაზმის პარტიზანთა ჯგუფი, რომელიც სმოლენსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედებს, 13 მაისს ღამით თავს დაესხა გერმანელთა გარნიზონს. პარტიზანებმა დახოცეს მტრის 35 ჯარისკაცი და ოფიცერი, დაჭვეს ყაზარმა, საგუშაგო სადგომი, მოსპეს 9 ავტომანქანა და ცეცხლი წაუკიდეს 4 სამხედრო საწყობს. იმავე ღამეს პარტიზანთა სხვა ჯგუფი რკინიგზის სადგურში შეიჭრა, დახოცა მცველები და დაანგრია სადგურის ლიანდაგები. მეორე დღეს გერმანელმა ხელისუფლებმა პარტიზანებს სადამსჯელო ექსპედიცია დაადგეს. საბჭოთა პატრიოტებმა ტყეში ბრძოლა გაუმართეს დამსჯელებს. 47 გერმანელი დახოცეს და 7 ტყვედ წამოიყვანეს.

* * *

გერმანელთა 267-ე ქვეითი დივიზიის 487-ე პოლკის მე-4 ასეულის ტყვე ობერ-ეფრეიტორმა კარლ ბომიულერმა განაცხადა: „გერმანელ-იტალიელთა ჯარების განადგურებამ ტუნისში ჩვენი პოლკის ჯარისკაცებზე შეაიარწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა. ექვსი თვის განმავლობაში ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომელის უკანდახია ოსტატური სამხედრო მანევრიაო, გაზეთებში სწერდნენ, რომელი ინგლისელებს მათთვის დაგებულ მახეში ეგულებოდა. ჯერ კიდევ 4 მაისს ფელდფებელმა ბიჩმა, დაიმოწმა რა ასეულის მეთაურთან საუბარი, განაცხადა, რომ გერმანელთა დივიზიები არასოდეს არ წამოვლენ ჩრდილოეთ აფრიკიდან და ტუნისს არ დასთმობენო. რამდენიმე დღის შემდეგ ოფიცრები იძულებული იყვნენ განეცხადებინათ, გერმანელებმა და იტალიელებმა ტუნისში წინააღმდეგობა შ

გერმანელი კოლონისტები და აღგილობრივი გლეხობა ამიერ-კავკასიაში*

იმის შესახებ, თუ სახელმწიფო რა გავლენა მოახდინა მეზობელ ადორიგენთა სოფლებზე კუჩენბახის ფერმამ, კორესპონდენტი სწერს: „კუჩენბახის მშვენიერი ბოსლების გეგერდით ათიოდე კომლი თათარი სახლობს და სრულს ეშმაკობაში ვამბობ—შენატრის იმის საქონლის ბედსა. ამ გადამთიელებს რომ „ბული შესტკივნოდეთ ჩვენთვის და მაგალითის გამოყენება შესაძლებელი ყოფილიყო, განა ამისთანა მოგლენას შევხვდებოდით?“ (იქვე, გვ. 126).

მაგრამ 15 წლის შემდეგაც, ამიერ-კავკასიის გლეხთა ეკონომიური ცხოვრების ისეთი ნიჭიერი აღმწერი, როგორიც იყო ა. არღუთინსკი, გადმოგვცემს: „ბარონ კუჩენბახს ჰყავს ფრიად კარგი, მაღალხარისხოვანი პირუტყვი, რომლის რძისაგან კეთდება მშვენიერი ყველი, ხოლო ქარხნის გარშემო მოსახლეობა ისევ ცხოვრობს თავის პირველყოფილ პირობებში. ადგილობრივი მოსახლეობა ჯიშიანი პირუტყვის შეძენაშიაც დიდ სიძნელეებს აწყდება... **უკეთესი დეკნები და მოზვრები ბარონ კუჩენბახის ფერმიდან მათ შეუძლიათ შეიძინონ მხოლოდ თბილისის სასაკლაოზე“** (**Ксх**, 1895 წ. № 93, გვ. 1589), ესე იგი ბარონ კუჩენბახი თავის ჯიშიან პირუტყვს, რომელსაც გასასყიდად გამოჰყოფდა, პირდაპირ სასაკლაოზე აგზავნიდა და აღარ ბაზარზე, სადაც ადგილობრივ მკვიდრთ შეეძლებოდათ მათი ყიდვა და, მაშასადამე, მოშენება. ასე „უწყობდა იგი ხელს“ კულტურული მეცხოველეობისა და მერძეობის განვითარებას ამიერ-კავკასიაში.

და ეს მაშინ, როდესაც ბარონ კუჩენბახის მთელი მეურნეობა შეიქმნა მხოლოდ თავადობის მატერიალური დახმარებითა და წაქეზებით, ე. ი. ადგილობრივი გლეხობის ხარჯზე.

შედეგად კარგი შემოსავლიანობისა, როგორც ა. არღუთინსკი სწერს, „ფერმის მამული დამრგვალდა და გაფართოვდა... ბარონ კუჩენბახის ყველმა დიდი სახელი გაითქვა..., მაგრამ ყოველივე ამას ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ მხოლოდ შორეული კავშირი აქვს“. ბევრად უფრო ადრე, ნ. ახვლედიანი,—მეცხოველეობა — მერძეობის ცნობილი სპეციალისტი, — სწერდა:

„უფ. კუჩენბახს, რასაკვირველია, საკუთარი ფული იმდენი არა ჰქონია, რომ ხელირანი რამე გაეკეთებინა, მაგრამ ჩვენმა სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ ძლიერ დაეხმარა ამ საქმეში და კარგა ძალი ფულიც მისცა. ამავე საზოგადოებამ შვეიცარიული ძროხები გამოუწერა იმ პირობით, რომ მოეშენებინა ჩვენში საზღვარ-გარეთული ძროხის ჯიში და მეყველეებათ ადგილობრივი შგირდები გამოეზარდნა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, არც ერთი ესენი იმას არ შეუსრულებიაო“ (გაზ. „დროება“, 1872 წ. № 21).

მაგრამ არამცთუ რეალური სარგებლობა არ მოჰქონდა ჩვენი გლეხობისათვის გერმანელთა ყველის ქარხნებს, არამედ პირიქით. ყველის ეს ქარხნები მათი კაპიტალისტური ბუნების შედეგად ავიწროებდნენ, აღატაკებდნენ და საბოლოო ანგარიშით მამა-პაპათა სამკვიდრებელიდან აძევებდნენ მეზობელ სოფლელთა ადგილობრივ გლეხობას.

როდესაც 1880 წელს ნიდიგერმა (კუჩენბახის ქარხნის ყოფილმა ოსტატმა) შვეიცარული ყველის ფერმისათვის იჯარით აიღო თავად არღუთინსკის მიწა, მაშინ აქ მდებარეობდა სოფ. პატარა კამარლუ თარაქამთა 24 კომლით, რომლებიც შეჯოგეობასა და მიწათმოქმედებას მისდევდნენ. იჯარით აღებული 1.500 დესეტინა მიწიდან ნიდიგერმა ნახევარი თავის მხრივ იჯარითვე მისცა ზემოხსენებულ გლეხთა 24 კომლს. მაგრამ, როგორც ს. ზავარიანცი სწერს, „ყველის წარმოების განვითარებისდამიხედვით ამ მიწებზე თანდათანობით ავიწროებდა იგი გლეხებს, სანამ ბოლოს არ იქნენ ისინი აყრილნი და მთელი მიწა არ დაიკავა ქარხანამ“. ცხადია, გლეხობა ასე ადვილად არ შეურიგდებოდა ამ გარემოებას. მაგრამ, „მიუხედავად პროტესტებისა, მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ წაუკიდეს ცეცხლი ნიდიგერის თივას, და მიუხედავად მის სიცოცხლეზე ხელყოფის ცდისა. გლეხები ბოლოსდაბოლოს მაინც იძულებული შეიქნენ დაეთმოთ;—და გაუნადგურდათ რა საკუთარი მეურნეობა, გადასახლდნენ სხვა სოფლებში და თურქეთშიაც-კი“.

ამ მხრივ ანალოგიური მდგომარეობა იყო ფონ კუჩენბახის ქარხნის რაიონშიაც — სოფ. მაჰმუთლოსა და ბოღაზ-ქესანში,—სადაც, შესაბამისი ტერიტორიის (2.500 დეს.) სიმჭიდროვის მიხედვით, შეეძლო ეცხოვრა 500 კაცს, ანუ 80-100 ოჯახს და სადაც 1902 წელს ცხოვრობდა მხოლოდ 177 კაცი (ამათგან 35 კოლონისტი). 1895 წელს ბარონ კუჩენბახის მამულში 1 კაცზე მოდიოდა 14, ხოლო ნიდიგერისაში—35 დესეტინა მიწა, ე. ი. 7-15-ჯერ მეტი ფართობი, ვინემ ჰქონდა ადგილობრივ გლეხობას. ს. ზავარიანცისავე მიერ წარმოებული ანალოგიური შედარებითი გამოანგარიშებით, „კუჩენბახის ფერმაში 1 ძროხის მომატება შეესაბამებოდა მოცემულ რაიონში ადგილობრივი მოსახლეობის 1 კაცით შემცირებას“.

ამგვარად ნათელია, თუ როგორ ავიწროვებდა, აღატაკებდა და მამა-პაპათა სამკვიდრებელიდან სულ შორს მიერეკებოდა ადგილობრივ გლეხებს ფონ კუჩენბახი, და, თუ იტოვებდა ამ გლეხების ნაწილს, იტოვებდა მხოლოდ როგორც შავ მუშებს, რომელთაც შვეიცარული ყველის წარმოების პროცესზე უშუალო დაკვირვებამდე და, მაშასადამე, შესწავლამდე, ცხადია, ხელი არ მიუწვდებოდათ.

განჯის მაზრის ელენენდორფელმა კოლონისტმა ქრისტეფორე ფორერმა მეურნეობის სხვა დარგთა შორის მევენახეობას ხელი მოჰკიდა პირველად 1846 წელს, მან გააშენა ერთი დესეტინა ვენახი. იგი მალე დარწმუნდა, რომ ამ საქმიანობას დიდი წარმატება ელოდა, მით უმეტეს, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია ყოველმხრივ ხელს უწყობდა მას. 1860 წლიდან ფორერი სულ უფრო აფართოებს მევენახეობა-მეღვინეობას. 1870 წლიდან მისი მეურნეობა უკვე გამოდის ბაზარზე ფირმით: „ქრ. ფორერი და შვილები“, ხოლო 1892 წლიდან ფირმა უკვე ატარებს სახელწოდებას: „ძმები ფორერები“, ესენია უკვე ზემოხსენებული შვილები, რომელთაც ბაბამ გადასცა მეურნეობა.

ფორერები ხაზინისაგან მუქთად ღებულობენ მიწებს, საიდანაც მიერეკებიან ადგილობრივ მომთაბარე გლეხებს და სადაც ისევ მთავრობისაგან მიღებული სუბსიდიებითა და სხვადასხვა სახის დახმარებით აწყობენ მოსარწყავ ქიჰარიზებს და აშენებენ ვენახს. მაი ვენახი (განჯის მაზრაში) სულ ფართოვდება: 1846 წელს იგი უდრიდა 1 დესეტინას, 1875 წელს—17 დეს.; ხოლო მთელი მამული 1886 წ. უდრიდა 1.000 დეს. და 1910 წელს—4.300 დესეტინას, რომელზედაც მხოლოდ ვენახს ეჭირა უკვე 500 დესეტინა ფართობი.

ასე რომ 1900-იანი წლებისათვის „ძმ. ფორერებს“ ჰქონდათ მთელ იმპერიაში ერთ-ერთი უმსხვილესი მეურნეობა მევენახეობა-მეღვინეობისა. ფორერების ოცდაათი სარეკაფი (განჯაში, ელენენდორფში, ქარაიერში, ალაბლაში და სადილში) იტევდა 750.000 ვედრო ღვინოს. მხოლოდ 1910 წელს შიდა რუსეთსა და ციმბირში ფირმამ გაიტანა გასასყიდათ 450.000 ვედრო ღვინო. მეურნეობას განჯაში ჰქონდა საკუთარი პლატფორმა ღვინის რკინიგზით გადასაზიდავად.

ძმ. ფორერების დიდ მამულში მისდევდნენ აგრეთვე მეცხენეობას, მეღორეობას, მებაღეობა-მებოსტნეობას, მემინდვრეობის სხვადასხვა კულტურებს, მეხილეობას, მეცხოველეობასა და რძის პროდუქტთა წარმოებას. მეურნეობას ჰქონდა საკუთარი ტელეფონისა და ელექტრონის სადგური.

ძმ. ფორერების მეურნეობას ყარიზმის ცენტრალური და ადგილობრივი ადმინისტრაცია აქებდა და დიდად დახმარებას აძლევდა იმ მიზნით, რომ ვითომდა ფორერებს ამიერ-კავკასიაში უნდა გაევრცელებინათ ევროპული მევენახეობა-მეღვინეობა, ადგილობრივი გლეხობისათვის გაეცნოთ ამ კულტურის რაციონალური ხერხები და მეთოდები, დაეწერგათ აქ მაღალი საამისო ტექნიკა. ყოველივე ამას ფორერები ამათვის ზომით ადგენდაც აკეთებდნენ, თუმცა... **მხოლოდ საკუთარ მეურნეობაში,** მაგრამ ადგილობრივ აზერბაიჯანელ და სომეხ გლეხობას ფორერების მეურნეობიდან შეეფიწროვებისა, მამა-პაპათა სამკვიდრებელი ადგილებიდან განდევნისა და გაღატაკების მეტი სხვა არა შეუძენიათ რა. ფორერების მეურნეობაში 200-ზე მეტი მუდმივი მუშა იყო ჩაბმული, ხოლო მოსავლის აღების პერიოდში დაქირავებულ მუშათა საერთო რაოდენობა აქ ხშირად 500 კაცამდე აღწევდა. ესენი მხოლოდ უხეშ ფიზიკურ სამუშაოებს ასრულებდნენ და ფრიად მცირე ხელფასს ღებულობდნენ ფრიად გრძელი სამუშაო დღისათვის. იქ, სადაც ღვინის, სპირტისა და კონიაკის დამზადების ტექნოლოგიური პროცესები სწარმოებდა, ფორერებს უპირატესად გერმანელი სპეციალისტები ჰყავდათ, რომლებიც ადგილობრივ გლეხობაში მხოლოდ უბრალო მუშა-ძალას ხედავდნენ, რომელსაც უხეშად ეპყრობოდნენ, სცემდნენ, ატყუებდნენ ხელფასის გაანგარიშებაში და სხვ.

ძმ. ფორერების ფირმის ესოდენ დიდი წარმატების უმთავრესი წყარო იყო სამხედრო იჯარა: ისინი დიდძალ ღვინოს, არაკს, სპირტსა და ლუდს აწოდებდნენ ცარიზმის სამხედრო უწყებას. ფორერების ფირმა პეტერბურგში თვით მეფის სასახლეში მოკალათებული გერმანელი მსხვილი მოხელეების, პირველ რიგში თვით სასახლის მინისტრის დახმარებით დიდად იყო დაახლოებული სამხედრო სამინისტროსთან. 1904 წელს თვით იმპერატორის ბრძანებით ქრისტ. ფორერს მიენიჭა „მემკვიდრეობითი სპატიო მოქალაქის“ წოდება, ხოლო ათიოდე წლის შემდეგ, ვილჰელმის გერმანიასთან ომის დროს, რუსეთის იმპერიის სწორედ ამ „საპატიო მოქალაქის“ მიერ სამხედრო უწყებისათვის მიწოდებული ღვინით რუსეთ-გერმანიის ფრონტზე მოიწამლა რუს ჯარისკაცთა დიდი რაოდენობა. გამოძიებამ „ნათელჰყო, რომ ძმ. ფორერთა ღვინის სარდაფები არმიას მარაგებდნენ მოწამლული („შხამნარევი“) ღვინით“.

ასეთი იყო სინამდვილეში მეურნეობის სხვა დარგებშიაც ამიერ-კავკასიაში დასახლებული გერმანელი კოლონისტორების „ცივილიზატორული“ მოღვაწეობა.

თვით პრუსიელი რეგიონუნსრატი ავგუსტ ფონ ჰაუტჰაუზენიც-კი, რომელიც ძალას არ იშურებს ქება შეასხას ამიერ-კავკასიის გერმანელ კოლონისტებს, თითქმის არაფერს ლაპარაკობს იმ კულტურული როლის შესახებ, რომლისთვისაც ვითომდა იყვნენ ცარიზმის ხელისუფლების მიერ მოწოდებული ეს კოლონისტები, და, რომელთა დამსახურება ამ მხრივ უკეთესი იყო იმ დიდ ხარჯებთან შედარებით, რაც მათს გადმოყვანასა, ეთანმოწყობასა და საერთოდ მათზე მზრუნველობისათვის გასწია მეფის მთავრობამ. ალსანიშნავია, რომ ამ გარემოებას უმეტეს წილად გულმოდგინედ ჩქმალავდნენ ცარიზმის ოფიციალური წარმომადგენლები, რამდენადაც გერმანული კოლონიები მათთვის საჭირო იყო ადგილობრივი გლეხობის რევოლუციური ამოძრავების წინააღმდეგაც, როგორც ერთ-ერთი დასაყრდენი.

აღსანიშნავია, მაგალითად, გერმანელ კოლონისტთა პოზიცია ჯერ კიდევ 1905 წ. რევოლუციის პერიოდში. გ. ლასხიშვილი თავის „მემუარებში“ სწერს, რომ იგი სოც.-ფედ. პარტიის კომიტეტმა გერმანელების კრებაზე გაგზავნა. „თბილისში: „ვიტცელის“ სასტუმროში თავი მოეყარა ოცდაათამდე გერმანელს. პირველ შეხედვისთანავე აუდიტორია არ მომეწონა. თავი მოეყარათ ჩასუქებულ გერმანელ კოლონისტებსა და ინტელიგენტებს. მართლაც მალე გამოვარკვიე, რომ მათ არ აინტერესებდათ რუსეთის ხალთთა დიდებული და თავგანწირული ბრძოლა... ისინი უფრო იმას მეკითხებოდნენ. როდის დაწყნარდება ქვეყანაო“ (გ. ლასხიშვილი, „მემუარები“. 1934, თბ. გვ. 23).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ საეჭვებით გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ დაარბიეს ბარონ ფონ კუჩენბახის მამული 1918 წელს ბორჩალოში აჯანყებულმა გლეხებმა. მაგრამ ეს სწორედ ის დრო იყო, როდესაც გერმანელი იმპერიალისტები ფაქტიურად ბატონობდნენ საქართველოში და ამა თუ იმ ანტაგონისტურ გამოსვლისა და ექსცესებისათვის მეწშვეიკური მთავრობასა და ზრეასას ყოყოჩური ტონით სტუქავდა „გერმანელთა ეროვნული საბჭოს“ ორგანო გაზ. „კაუკაზიშე პოსტი“, რომელიც თბილისში 1918 წელს გამოდიოდა. ეს გაზეთი, გარდა კაზეტული გერმანიის საერთო ინტერესებისა, იცავდა კავკასიაში გერმანელ კოლონისტთა ინტერესებს, მოითხოვდა მათთვის კიდევ უფრო მეტი მიწების მიცემას ადგილობრივი გლეხობის ხარჯზე და ქადაგებდა აგრეთვე გერმანიიდან კიდევ ახალი კოლონისტების გადმოყვანას.

1918 წ. 12 ივლისის ნომერში „კაუკაზიშე პოსტი“ აშკარად აცხადებდა, რომ მეწშვიკების მთავრობას არ ძალუძს საკუთარი ძალებით აღადგინოს წესრიგი ბორჩალოში და ურჩევს ამ მთავრობას, რათა დახმარება სთხოვოს საქართველოში მყოფი გერმანელთა ჯარების უფროსს: ეს გაზეთი დიდი რიხით მოითხოვს აგრეთვე, რომ ადგილობრივი გლეხობის ხარჯზე მთავრობამ დაუყოვნებლივ აუნაზღაუროს ბარონ კუჩენბახს მიყენებული ზარალი.

მართლაც, სულ მალე, მეწშვეიკური მთავრობისათვის „დახმარების“ გასაწევად ბორჩალოში გაჩნდნენ გერმანელთა ჯარის ნაწილები და დაიწყეს აქ „წესრიგის დამყარება“, ე. ი. უდიერად, თავხედურად ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა და დარბევა როგორც ბორჩალოში, ისე საქართველოს სხვა კუთხეებშიაც, სადაც კი ფეხი შესდგეს.

ამის შესახებ თვით მეწშვეიკური მთავრობის ორგანო, გაზ. „ერთობა“ 1918 წლის 25 სექტემბრის ნომერში იძულებული იყო ეღიარებინა:

„ჩვენს რედაქციას აუარებელი კორესპონდენციები მოსდის სხვადასხვა კუთხიდან, განსაკუთრებით იმ მხარეებიდან, სადაც გერმანელთა კოლონიები იყო, და ყველანი ერთხმად უჩივიან იმ გერმანელი ჯარის უდიერ მოპყრობას, რომელნიც კოლონისტთა სოფლებში არიან დაბანაკებულნი“.

გერმანელი ჯარის ნაწილები არბევდნენ, ძარცვავდნენ ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ გლეხთა ოჯახებს და თუ უკანასკნელნი მათი რისხვისაგან თავის დაცვას მოინდომებდნენ, მაშინ უმოწყალოდ სცემდნენ, ამათრახებდნენ და ხშირად ჰკლავდნენ კიდევაც ამ გლეხებს. გაზ. „ერთობა“ კი წუწუნებდა: „გერმანელებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ საქართველო ოსმალეთი არაა, რომ ქართველი მოქალაქე ფიზიკურ სასჯელს ვერ შეეგუება; თვით რუსის კანონსაც კი, რომელიც სოფლელთ შიდა რუსეთში როზგავდა, ჩვენში ეს სასჯელი არ გადმოუტანიაო“ (იქვე).

მაგრამ გერმანელთა ჯარის ნაწილები თავის საქმეს აკეთებდნენ: ადგილობრივ მოსახლეობას სტაცებდნენ ქონებას და თვითონ ითვისებდნენ, ანდა ურიგებდნენ გერმანელ კოლონისტებს, რომლებიც ისედაც მიჩვეულნი იყვნენ აქაური გლეხობის ხარჯზე გამდიდრებას.

ამგვარად, გერმანელთა კოლონიებს ამიერ-კავკასიაში ადგილობრივი გლეხობის ხარჯზე ეძლეოდათ საუკეთესო მიწები, ტყეები, საბალახოები. ისევ ადგილობრივ ადმინისტრაცია მათ უწევდა სისტემატურ მატერიალურ და კულტურულ დახმარებას და მორალურადაც აქებდა. გერმანელი კოლონისტები, ყოველივე ამის მეოხებით ჰქმნიდნენ რა მტკიცე და შეუვალ თემებს-მარკებს, ეწევოდნენ ადგილობრივი გლეხობის უშუალო ექსპლოატაციასაც როგორც ვაჭრობა-ვეალზეობის, აგრეთვე შავ სამუშაოზე მათი დაქირავების გზით.

ამასთანავე ეს ურთიერთობა გერმანელ კოლონისტებსა და ადგილობრივ ადგილობრივ ტენდენციით, როგორც, მაგალითად, ურთიერთობა გერმანელ ბარონსა და ბატერს (გლეხს) შორის, არაწერილ ბეერად უფრო სასტიკი და ბეაცარი სახით, რამდენადაც ამ ორივ გლეხთა ექსპლოატაციას აქ კოლონიურ ჩაგვრასთან ზედ ერთვოდა ერთვნული შუღლი და, მაშასადამე, პრივილეგიურ მდგომარეობაში მყოფთა „კულტურული ზედმოქმედების“ უარყოფითი გავლენა.

აღსანიშნავია, რომ 1918 წელს, როდესაც, **ლენინის** სიტყვებით რომ ვთქვათ, „საქართველოს დამოუკიდებლობა წმინდაწყლის მოტყუებად გადაიქცა“ და ნაღდეთად ეს იყო „საქართველოს ოკუპაცია და მთლიანი დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მეწშვეიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ“. სწორედ ამ დროს ადგილობრივი გერმანელი კოლონისტები ხალისით შედიან გენერალ ფონ კრესის საოკუპაციო ჯარის ნაწილებში, გასაგებია, რომ აქაური ენის, ხალხთა ზნე-ჩვეულების, ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო ვითარების კარგად მცოდნე გერმანელ კოლონისტებს დიდი სამსახურის გაწევა შეეძლოთ გერმანიის ჯარისათვის და საერთოდ დაზვერვისათვის.

და ახლა, საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში, როგორც არმიის გენერალი ტიულენევი სწერდა, გერმანელი ფაშისტები „იხსენებდნენ იმას, თუ 1918 წელს გენ. ფონ კრესის ჯარები როგორ ავიზაკობდნენ ბათუმში, სწვავდნენ მთიელთა სოფლებს საქართველოს სამხედრო გზაზე, ყლეტდნენ სოხოვის არაქსის ნაპირებზე“, და ამ ამბების მოგონებით ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ვითომდა „გერმანიას აქვს ისტორიული უფლება ჰფლობდეს კავკასიას“. ბერლინელი ცრუპენტეგები მთელი მსოფლიოს გასაგონად ტრაბახობდნენ: „ახლა ზორაციელდება გერმანიის გამარჯვება, 25 წლის წინათ დრობით რომ გადაიდგა“ (იხ. 1943 წ. 23/II-ის „კომუნისტი“ № 44).

მაგრამ, ყველამ კარგად ვიცით, თუ როგორ გაცამტვერდა კაციჭამია ფაშისტთა ეს ოცნება: დაეპყროთ ამიერ-კავკასია და დაემონებინათ მისი ხალხები. სახელოვანმა ფიოლმა არმიამ ამიერ-კავკასიის მისადგომები გერმანელ დამპყრობთა სამარედ გადააქცია.

პროფ. პ. გუგუშვილი

გადაჭრით გავაძლიეროთ ჩაის ფოთლის კრეფის ფემპები

აძლიერებენ ჩაის კრეფის ფემპებს

მახარაძე („კომუნისტის“ საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაცხოველებით მიმდინარეობს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. ამ მხრივ წინ მიდიან სოფ. ჭალის, ვაკიჯვრის, ფაღფალეთის, შემოქმედის კოლმეურნეობები. ბევრ კოლმეურნეობაში დღიური დავალებები ორმაგი გადაჭარბებით სრულდება. მაგალითად, 26 მაისს სოფ. ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში 12 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოჰკრიფეს, ნაცვლად 6 ტონისა. ამ დღეს სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის ორდენოსანმა კოლმეურნეობამ მოჰკრიფა 8.863 კილოგრამი, ჯუმათის კოლმეურნეობამ 5.752 კილოგრამი. სოფ. ნაღობილევის კოლმეურნეობის სტახანოველი შუშანა გოგიტიძე დღიურად 70 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფს, ნაცვლად 20 კილოგრამისა, ნადია ვასაძე—65 კილოგრამს, ქეთო სურგულაძე კი—50-ს.

ლ. ლოლაძე

ჩაის კრეფის მაისის გეგმის შესრულება

წალენჯიხის რაიონმა ჩაის მწვანე ფოთლის მაისის კრეფის გეგმა 30 რიცხვისათვის 101,2 პროცენტით შეასრულა. მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 613 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 605 ათასი კილოგრამისა. მოკრეფილი ფოთლიდან 82 პროცენტი პირველი ხარისხისაა. კრეფა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის აკნ.
მდივანი პ. კვარაცხელია

ჩაის ფოთლის კრეფა ჩხოროწყუს რაიონში

ჩხოროწყუ („კომუნისტის“ საკ. კორ.). უკანასკნელ დღეებში გააძლიერეს ჩაის ფოთლის კრეფის ტემპები. მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმა ვადამდე შეასრულეს.

ჩხოროწყუს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 10.440 კილოგრამის ნაცვლად მოჰკრიფა 11,161 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. მთელი მოკრეფილი ჩაის ფოთოლი პირველი ხარისხისაა. სოფელ ხაბუმის ბერიას სახელობის კოლეეურნეობაში 23 მაისს მოჰკრიფეს 10.713 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი. მესამე ბრიგადამ (ბრიგადირი ს. გოგუა) მაისში გეგმით გათვალისწინებული 4.248 კილოგრამის ნაცვლად მოჰკრიფა 4.262 კილოგრამი, მეორე ბრიგადამ (ბრიგადირი კ. ყალიჩავა) მოჰკრიფა 4,555 კილოგრანი, ნაცვლად 4.540 კილოგრამისა, მერვე ბრიგადამ (ბრიგადირი მ. ვახანია) 7.432 კილოგრამის ნაცვლად მოჰკრიფა 7.500 კილოგრამი. მთელი მოკრეფილი ჩაის ფოთოლი პირველი ხარისხისაა.

ჩაის ფოთლის კრეფის ნორმებს თვალსაჩინო გადამეტებით ასრულებს კომკავშირული რგოლის ხელმძღვანელი ცუცა ვახანია. მან 23 მაისს დღის 12 საათამდე მოჰკრიფა 320 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 15 კილოგრამისა, გამოიმუშავა 32 შრომადღე. მე-7 კლასის მოსწავლემ ეთერი ცირამუამ ერთ დღეს მოჰკრიფა 400 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 18 კილოგრამისა, მან ამ დღეს გამოიმუშავა 33 შრომადღე. საკ. კ. პ. (ბ) წევრმა ელენე ჩალიგავამ 23 მაისს მოჰკრიფა 137 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 15 კილოგრამისა.

ჩხოროწყუს ჩაის ფაბრიკაში ყოველდღიურად გადასამუშავებლად მოდის 25-35 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი. შეუფერხებლივ მუშაობს ელექტროსადგური. უფროსი მექანიკანი მ. ბრაჭინკოვი სამი კაცის ნორმას ასრულებს. საგრეხი საამქროს მუშა ირაპელია დღეში ჰგრეხს 4.700 კილოგრამს, ნაცვლად 2.000-სა, დუსია სიროვა კი—4.300 კილოგრამს, ნაცვლად—2.000-სა. სახმობ განყოფილებაში ნატაშა ჩუპეკოვა ნორმით დაწესებული 1.100 კილოგრამის ნაცვლად ახმობს 1.600-ს, ამ საამქროს მოხელეები კომუნისტი ქსენია ჩიქოვანი. იულია გოგია ორ ცვლად მუშაობენ და გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ.

ფაბრიკის ყველა როლერი და სადგარი (სტანინა) სრული დატვირთვით როდი მუშაობს. 15 სადგარიდან მუშაობს 8-9, 15 როლერიდან—10-12.

ზოგიერთ კოლმეურნეობას ჩაის ფოთოლი თავისი გამწვანი ძალით არ გადმოაქვს. სოფელ ლეკიჭინის, ხაბუმის პუნქტებში რამდენიმე ტონობით არის გადმოუტანელი ფოთოლი. ხშირად იგი ადგილზე რჩება 3-5 დღეს. ეს ფოთლის ხარისხს აფარგებს.

ნ. ჯანჯღავა

დეპეშები

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ინფორმაციის ბიუროს დირექტორი ზღვაში წარმოებული ომისა და საჰაერო დაბომბვის შესახებ

ნიუ-იორკი, 29 მაისი (საკდესი). სამხედრო ინფორმაციის ბიუროს დირექტორმა დევისმა რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ უკანასკნელი ორი თვის მანძილზე მდგომარეობა მტრის წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის დარგში განუხრელად უმჯობესდებოდა, და ნაცისტები უკვე იძულებული იყვნენ აეხსნათ ასეთი მდგომარეობა გერმანიის მოსახლეობისათვის.

გერმანიის დაბომბვა,—განაგრძო დევისმა,—პირველ ყოვლისა, მიზნად ისახავს შეარყიოს გერმანიის მრეწველობა. ამჟამად ძალიან ცოტა სამხედრო ავტორიტეტი იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ მარტო დაბომბვით შეიძლებოდეს ომის მოგება. მაგრამ თუ დაბომბვა ახლანდელი მასშტაბით საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, მას შეუძლია სერიოზულად შეარყიოს გერმანიის სამრეწველო ძლიერება, აგრეთვე მისი მოსახლეობის მორალური მდგომარეობაც.

„ესპანური პრესა და რადიო, რომლებიც ესპანეთის ფაშისტური პარტიის კონტროლქვეშ იმყოფებიან,—თქვა შემდეგ დევისმა,—ამ კვირაში გამოვიდნენ პროტესტებით საჰაერო დაბომბვის წინააღმდეგ იმიტომ, რომ ეს „საპასუხო რეპრესიებსა და ქაოსს“ იწვევსო. ასე აცხადებენ ესპანელი ფაშისტები. მათ არასოდეს არ გაუფრთხილებიათ გერმანელები იმის წინააღმდეგ, რომ მათ არ დაებომბათ ვარშავა, როტერდამი, ბელგრადი და ლონდონი იმიტომ, რომ ამას შეიძლება საპასუხო რეპრესიები მოჰყვესო. მაგრამ ამჟამად, როცა საპასუხო რეპრესიები დაიწყო, მათ სურთ, რომ მოკავშირეებმა ეს რეპრესიები შესწყვიტონ“.

დევისმა სთქვა, რომ „გერმანელები, იტალიელები, იაპონელები და მათი მეგობრები სულ უფრო და უფრო ძლიერად განაცხადებენ პროტესტებს საჰაერო დაბომბვის წინააღმდეგ. ეს პროპაგანდისტული კამპანია მოკავშირეთა მიერ საჰაერო დაბომბვის წინააღმდეგ მტრის მხოლოდ ერთ-ერთი იარაღია, რომლის საშუალებითაც იგი ცდილობს გადასდოს თავისი დამარცხება“.

გენერალი დე გოლი აღიქრს ჩავიდა

ლონდონი, 30 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, დღეს დილით გენერალი დე გოლი ჩავიდა ალჟირის აეროდრომზე, სადაც მას გენერალი ჟირო შეხვდა.

ჟიროს შეხვედრა დე გოლთან

ლონდონი, 31 მაისი (საკდესი). როგორც აფის საგენტო გადმოგვცემს, დღეს დილით გენერალებმა ჟირომ და დე გოლმა დაიწყეს მოლაპარაკება გენერალ კატროუს დასწრებით.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 30 მაისი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 29 მაისს ღამით ინგლისის ბომბდამშენთა მეტად მძლავრმა რაზმებმა სასტიკი თავდასხმა მოახდინეს ეუპერტალზე. ამ ოპერაციიდან თავის ბაზებში არ დაბრუნებულა 33 თვითმფრინავი. ეუპერტალის რაიონში მდებარეობენ „ი. გ. ფარბენინდუსტრის“ დიდი ქიმიური ქარხნები და ეგერის ბურთობსაკისარის ქარხანა. ბევრგან აღნიშნულია დიდი ხანძარი და აფეთქება.

გუშინ დღისით დღემდე თავდასხმებში მონაწილეთა შორის ყველაზე უდიდესმა ამერიკელთა მძიმე ბომბდამშენების შენაერთებმა მსხირებული იერიშები მიიტანეს სხვადასხვა ობიექტებზე საფრანგეთში. განსაკუთრებით სასტიკი თავდასხმა განიცადეს სამხედრო ნაგებობებმა რენში, წყალქვეშა ხავების ბაზამ სენ-ნაზერსა და ლა-პალისში. მტრის ავიაციამ ინტენსიური წინააღმდეგობა გასწია. საჰაერო ბრძოლაში ჩამოგდებულია მტრის ბევრი მანქანა.

ინგლის-გერმანიის საჰაერო ომი

ლონდონი, 31 მაისი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ 30 მაისს, დღის მეორე ნახევარში, მოწინააღმდეგის თვითმფრინავებმა ბომბები ჩამოჰყარეს ინგლისის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს ერთ-ერთ პუნქტში. გამოწვეულია ერთგვარი ზარალი, არის მსხვერპლი.

მოკავშირეთა ავიაციის თავდასხმა ნეაპოლსა, პანტელერიასა და სარდინიაზე

ლონდონი, 31 მაისი (საკდესი). ჩრდილოეთ აფრიკის მოკავშირეთა ძალების შტაბი იუწყება, რომ გუშინ თვითმფრინავების დიდმა შენაერთებმა იერიში მიიტანეს ნეაპოლზე. 29 მაისს ღამით დაბომბილ იქნა კუნძული პანტელერია.

გუშინ მოხდა თავდასხმა სარდინიასა და პანტელერიაზე.

ალექსანდრიაში მყოფი საფრანგეთის ესკადრა მოკავშირეებს შეუერთდა

ლონდონი, 31 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, ლონდონში გამოცხადდა, რომ ალექსანდრიაში მყოფი საფრანგეთის ესკადრა მოკავშირეებს შეუერთდა. ეს მოხდა გენერალ ჟირისთან მოლაპარაკების შემდეგ, რომლის შესახებ ინგლისის მთავრობა, სავსებით იყო ინფორმირებული.

იაპონიის ჯარების მოსპობა კუნძულ აგუზე

ლონდონი, 30 მაისი (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, გაშინგტონში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ იაპონიის ჯარები კუნძულ ატუზე (ალეუტის კუნძულები) მოსპობილია.

ტოკიო, 30 მაისი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის საგენტო გადმოგვცემს, ტოკიოში იმყოფებიან,—თქვა შემდეგ დევისმა,—ამ კვირაში გამოვიდნენ პროტ